ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია
ადმინისტრაციული სამსახური

წერილის ნომერი: **01-182311622**
თარიღი: **26/04/2023**

ადრესატი: მირანდა თეთრაძე
პირადი ნომერი: 01017047251
მისამართი: თბილისი ვ.გორგასალის ქ. N 59

მოქალაქე მირანდა თეთრაძეს

ქ. თბილისი, თეიმურაზ ბოჭორიშვილის 20

foi+request-1547-687be2e7@askgov.ge

ქალბატონო მირანდა,

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული მომართვით (რეგ. N19/1823101118-18 11/04/2023) თქვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლი განსაზღვრავს იმ ინფორმაციების ჩამონათვალს, რომელთა გასაიდუმლოებაც დაუშვებელია. აღნიშნულ ჩამონათვალში არ შედის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული შიდა აუდიტორული შემოწმებების ანგარიშები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს პერსონალურ (არათანამდებობის პირთა) ინფორმაციას.

გარდა ამისა, მოგეხსენებათ, რომ შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგების, ანგარიშების ან მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებით, აუდიტორი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობის პრინციპი. „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, შიდა აუდიტორი ვალდებულია „დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობის გარეშე არ გახადოს საჯარო შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილი არ არის გაასაჯაროოს შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშები.

პატივისცემით,

დავითი ჩადუნელი

ადმინისტრაციული სამსახური-პირველი რანგის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი